


ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი

ჯემალ აფიაშვილის დაბადებიდან 75 წლისადმი მიძღვნილი
სტუდენტური სამეცნიერო კონფერენცია

„ძვირფას ხსოვნას – წარსულიდან გადმონაბარებს“



პროგრამა და თეზისები
25 მარტი

თბილისი 2019

საორგანიზაციო კომიტეტი:

ნანა ჯავახიშვილი

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დეკანი, პროფესორი

ეკატერინე ნავროზაშვილი

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის სამეცნიერო კვლევებისა და განვითარების სამსახურის უფროსი, ასოცირებული პროფესორი

დარეჯან გარდავაძე

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ხარისხის მართვის სამსახურის უფროსი, პროფესორი

ნინო პოპიაშვილი

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის სამეცნიერო კვლევებისა და განვითარების სამსახურის უფროსი სპეციალისტი, ფილოლოგიის დოქტორი (საორგანიზაციო კომიტეტის თავმჯდომარე)

გიორგი ჯღარკავა

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ფილოლოგიის სადოქტორო პროგრამის დოქტორანტი

რეგლამენტი:

მოსხენება – 15 წუთი

დისკუსია – 5 წუთი

© ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის
სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2019

25 მარტი
თსუ I კორპუსი
202-ე აუდიტორია

კონფერენციის მონაწილეთა რეგისტრაცია 10. 30 – 11. 00

კონფერენციის გახსნა 11. 00 – 11. 30

პლენარული სხდომა 11. 30 – 12. 00

სექციური მუშაობა

12. 00 – 14. 00

14. 00 – 15. 00 შესვენება

15. 00 – 17. 00

ვკითხულობთ ჯემალ აჯიაშვილის პოეზიასა და თარგმანებს

17. 00 – 18. 00

თსუ I კორპუსი, უნივერსიტეტის საგამოფენო დარბაზი

კონფერენციის გახსნა 11. 00 – 11. 30

თსუ I კორპუსი

202-ე აუდიტორია

მისალმებები

ნანა გაფრინდაშვილი

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დეკანი, პროფესორი

გოჩა ჯაფარიძე

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის პროფესორი

მარიამ ჩაჩიბაია

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი

პლენარული სექცია

11. 30 – 12. 00

გიორგი ჯღარკავა, დოქტორანტურა

თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი

ჯემალ აჯიაშვილის ორსახოვანი ერთიანობა და გამოღვიძებული ქნარის მისტერია

ხელმძღვანელი: ასოც. პროფ. ეკატერინე ნავროზაშვილი

გიორგი ლომსაძე, მაგისტრატურა

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

ბიბლიური დროის სემანტიკა ჯემალ აჯიაშვილის სონეტებში

ხელმძღვანელი: პროფ. ნინო დობორჯგინიძე

თსუ I კორპუსი
202-ე აუდიტორია
11. 00 – 14. 00

სექციის ხელმძღვანელი:
ფილოლოგიის დოქტორი ნინო პოპიაშვილი

ნინო სხირტლაძე, მაგისტრი

თსუ არნ. ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტი
რუსული პოეზიის ჯემალ აჯიაშვილისეული თარგმანები
ხელმძღვანელი: ასოც. პროფ. ეკატერინე ნავროზაშვილი

ანა გოგოლაძე, ბაკალავრიატი

თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი
ეზრა ლუმის ჰაუნდის ქართულად თარგმანის ისტორიისთვის
ხელმძღვანელი: ასოც. პროფ. ეკატერინე ნავროზაშვილი

ნინო მალუტაშვილი, დოქტორანტი

თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი
დროითი კატეგორია ჯემალ აჯიაშვილის პოეზიაში
ხელმძღვანელი: ასისტ. პროფ. ანა ლეთოდიანი

მარიამ გოგსაძე, ბაკალავრიატი

თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი
**სემუელ ბეკეტის ნაწარმოების „გოდოს მოლოდინში“ ინ-
ტერტექსტი**

ხელმძღვანელი: ასოც. პროფ. ეკატერინე ნავროზაშვილი

ციური გვენეტაძე, ბაკალავრიატი

თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი

ჯემალ აჯიაშვილის სონეტების გააზრებისათვის

ხელმძღვანელი: ასისტ. პროფ. ანა ლეთოდიანი
რუსუდან კვერნაძე, ბაკალავრიატი

თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი

**სოლომონის ტაძარი და სასახლე ახალი არქეოლოგიური
გათხრების შუქზე**

ხელმძღვანელი: ასოც. პროფ. მარიამ ჩაჩიბაია

ნატა ტყეშელაშვილი, ბაკალავრიატი

თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი

იერუსალიმის დაცემა (I ს. ა.წ.)

ხელმძღვანელი: ასოც. პროფ. მამუკა ბუცხრიკიძე

მარიამ ჭიკაძე, მაგისტრატურა

თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი

**ილია ჭავჭავაძის ფენომენი კონსტანტინე გამსახურდიას
თვალთახედვით**

ხელმძღვანელი: ფილოლოგიის დოქტორი ლევან ბებურიშვილი

თსუ I კორპუსი
205-ე აუდიტორია
15. 00 – 17. 00

სექციის ხელმძღვანელი:
ასოც. პროფ. ეკატერინე ნავროზაშვილი

გიგა გიგაური, ბაკალავრიატი

თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი

ჯიხვის სიმბოლური სახე იბრაჰიმ ალ-ქუნის რომანში „ქვი-დან ნაჟური სისხლი“

ხელმძღვანელი: პროფ. დარეჯან გარდავაძე

გიორგი ხულორდავა, ბაკალავრიატი

თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი

პოეტური თარგმანის თავისებურანი სპარსული ლირიკის ქართულ თარგმანთა მიხედვით

ხელმძღვანელი: ასოც. პროფ. მარინა ალექსიძე

თამარ ფიცხელაური, მაგისტრატურა

თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი

გუდამაყრული მითოლოგიური გადმოცემები

ხელმძღვანელი: ასოც. პროფ. ხვთისო მამისიმედიშვილი

სალომე გეგეჭკორი, მაგისტრატურა

თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი

ქართული და მეგრული გამოცანების შინაარსობრივი ეკ-ვივალენტობის საკითხი

ხელმძღვანელი: ასოც. პროფ. მაია ლომია

სალომე სუხიაშვილი, ბაკალავრიატი

თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი

სხვა სამყარო ქართულ მითოლოგიაში

ხელმძღვანელი: ასოც. პროფ. ხვთისო მამისიმედიშვილი

თამთა ქეშიკაშვილი, ბაკალავრიატი

თსუ სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტი

საქართველოს გეოეკონომიკური პოტენციალის გავლენა ქვეყნის წინაშე მდგარ გეოპოლიტიკურ გამოწვევებზე

ხელმძღვანელი: ასისტ. პროფ. შორენა თურქიაშვილი

ციური გვენეტაძე

ჯემალ აჯიაშვილის სონეტების გააზრებისათვის

სონეტი (იტალიურად sonetto > sonnet – სიმღერა) – წარმოადგენს 14 სტროფიან ლექსს, რომელიც შედგება: ორი კატრენისა და ორი ტერცეტისაგან. ჯემალ აჯიაშვილის სონეტები კლასიკური სონეტის ტიპის 14 მარცვლიანი ლექსებია, რომელთა თემატიკა მრავალფეროვანია.

ლიტერატურათმცოდნეობაში გამოიყოფა სონეტის რამდენიმე სახეობა: სასიყვარულო სონეტი, სონეტი – პოეტური მანიფესტი, სონეტი – მიძღვნა, სონეტი – **მითოლოგემა**. ჯემალ აჯიაშვილის შემოქმედებაში სონეტის ყველა ზემოთ აღნიშნულ სახეობას ვხვდებით, თუმცა, ვფიქრობთ, სონეტი-მითოლოგემა მასთან განსაკუთრებულ ადგილს იკავებს. მოხსენებაში, რომელიც ჯემალ აჯიაშვილის სონეტების გააზრებას ისახავს მიზნად, ყურადღებას გავამახვილებ შემდეგ საკითხებზე.

1. ბიბლიური ალუზიები და რემინისცენციები.
2. ჰაგიოგრაფიული სახეები.

ჯემალ აჯიაშვილის სონეტები საინტერესოა სხვა მრავალი კუთხით, მათ შორის მხატვრული ასახვის, თუ ავტორის ინდივიდუალური სტილის გამოკვეთა-განსაზღვრის თვალსაზრისითაც.

ქართული და მეგრული გამოცანების შინაარსობრივი ეკვივალენტობის საკითხი¹

გამოცანა არის ზეპირსიტყვიერების ჟანრი, რომელიც საგანს ან მოვლენას რპოეტურად, ნართაულად ახასიათებს, თვით ამრობიექტის რდაუსახელებლად გამოცნობის მიზნით. გამოცანის თემატიკა შეუზღუდავია, ხოლო ფორმა – უმთავრესად რიტმული, ზოგჯერ რითმიანიც. გამოცანებში ჩანს ამ ენის მატარებელი ხალხის კულტურა, ტრადიცია, ისტორია, ეროვნული მსოფლხედვა, მენტალიტეტი, მისწრაფება... რამდენადაც გამოცანა უნივერსალური მოვლენაა, იგი დასტურდება ყველა ენაში. ადამიანთა მენტალური აღქმა ზოგჯერ ერთნაირად გამოიხატება თვით არამონათესავე ენებშიც, ზოგჯერ კი პირიქით, მონათესავე ენები ერთგვარობასთან ერთად ლოკალურ განსხვავებასა და თავისებურებებს გვიჩვენებს. ასეთ დროს საინტერესო და აუცილებელია გამოცანებს შორის შინაარსობრივი ეკვივალენტობის დადგენა.

ჩვენი მიზანია ქართულ და მეგრულ გამოცანებს შორის აზრობრივი შესაბამისობის დადგენა, რადგან, როგორც ცნობილია, გამოცანის თარგმანზე მხოლოდ პირობითად თუ შეიძლება საუბარი. მოხსენებაში წარმოვადგენთ თემატურ-შინაარსობრივად დაჯგუფებულ ქართულ გამოცანებს და მათ შინაარსობრივ ეკვივალენტებს მეგრულში, ამგვარ შესაბამისობათა განსაზღვრის პრინციპებს.

¹ დამუშავებულია მაგისტრანტთა სასწავლო-კვლევითი პროექტების 2018 წლის კონკურსში გამარჯვებული გრანტის (MR-18-3142) ფარგლებში, რომელიც ხორციელდება შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის დაფინანსებით (სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელი თსუ ასოცირებული პროფესორი მიაა ლომია).

გიგა გიგაური

ჯიხვის სიმბოლური სახე იბრაჰიმ ალ-ქუნის რომანში „ქვიდან ნაჟური სისხლი“

მოხსენებაში წარმოდგენილია უდაბნოს ფლორისა და ფაუნის სიმბოლური გააზრება ჯიხვის სიმბოლური სახის მაგალითზე, ლიბიელი მწერლის, იბრაჰიმ ალ-ქუნის, პროზაში. კერძოდ, მის რომანში „ქვიდან ნაჟური სისხლი“. ნაწარმოებში ჯიხვი წარმოდგენილია, როგორც მისტიური ღვთიური არსება და გამოკვეთილია მისი მესიანისტური როლი.

ამავე მოხსენებაში გარკვეულ ლიტერატურულ პარალელებს გავავლებთ იბრაჰიმ ალ-ქუნის აღნიშნულ რომანსა და ქართველი მწერლის, ოტია იოსელიანის რამდენიმე მოთხრობასთან (პირველ რიგში ვგულისხმობთ მოთხრობას „მენინავე“), სადაც ასევე ჯიხვისა და ადამიანის მრავალპლანიანი და წინააღმდეგობრივი ურთიერთობაა წარმოჩენილი.

ეზრა ლუმის პაუნდის ქართულად თარგმანის ისტორიისთვის

ნაშრომის მიზანია XX საუკუნის ამერიკული პოეზიის წარმომადგენლისა და არტ-მიმდინარეობა იმაჟიზმის ერთ-ერთი ფუძემდებლის, ეზრა პაუნდის შემოქმედების ქართულად თარგმანის ისტორიის მიმოხილვა.

ეზრა პაუნდი იმაჟისტური პოეზიის მნიშვნელოვანი წარმომადგენელია. იმაჟისტთა მიზანი იყო პოეზიაში „იმიჯის“ (Image – ხატი) მეშვეობით მიეღწიათ გამონათქვამის სიცხადისათვის, ხედვითი სიმკვეთრისათვის (როგორც პაუნდი მიუთითებდა, „იმიჯი“ არის ის, რაც ინტელექტუალურ და ემოციონალურ კომპლექსს მყისიერად წარმოაჩენს.). პაუნდი წერდა ვერლიბრს და მოდერნისტულ სტილიზაციას ქმნიდა თანამედროვე და ძველი პოეზიის განწყობილებების ერთმანეთთან შეკავშირებით.

ეზრა პაუნდს მიიჩნევენ მოდერნისტული თარგმანის ფუძემდებლადაც, ზოგჯერ მის თარგმანებს ცალკე ლიტერატურულ ქმნილებებადაც კი განიხილავენ. იგი თარგმნიდა ჩინურ, რომაულ და შუა საუკუნეების ევროპულ პოეზიას. მან მთარგმნელობითი საქმიანობა ოქსიტანური ბალადებით დაიწყო და ეგვიპტური პოეზიით დაასრულა.

ქართულად ეზრა პაუნდის შემოქმედება პირველად თარგმნა ზვიად გამსახურდიამ 1971 წელს. იგი პაუნდის შემოქმედებას განიხილავს მოგვიანებითაც, 1972 წელს გამოცემულ მონოგრაფიაში „XX საუკუნის ამერიკული პოეზია“. ამის შემდეგ პაუნდის შემოქმედება ქართულად რამდენჯერმე ითარგმნა. 90-იან წლებში ეზრა პაუნდის შემოქმედების შუალედურ თარგმანს გვთავაზობს დათო ბარბაქაძე, სხვადასხვა დროს თარგმნიან ზვიად რატიანი, ანი კოპალიანი, ნინო ბარამიძე და ზაალ ჯალაღონია.

ეზრა პაუნდი ამერიკულ პოეზიაში ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ავტორია. აღსანიშნავია, რომ იმაჟიზმი საკმაოდ გავრცელებული იყო XX საუკუნის ათიანი და ოციანი წლების ამერიკულ პოეზიაში. ნაშრომში განხილული იქნება იმაჟიზმი, როგორც კულტუროლოგიური ფენომენი და, აგრეთვე ის, თუ როდის და ვის მიერ ითარგმნა ქართულად იმაჟიზმის ერთ-ერთი წარმომადგენლის, ეზრა პაუნდის შემოქმედება.

სემუელ ბეკეტის ნაწარმოების „გოდოს მოლოდინში“ ინტერტექსტი

კონსტანტინოს კავაფისი – თანამედროვე ბერძნული პოეზიის წარმომადგენელი. მისი მოღვაწეობის ადრეულ ეტაპს შესაძლოა რომანტიზმის ხანა ეწოდოს, თუმცა 1899 წლიდან კავაფისის შემოქმედება სიმბოლიზმის ხანაში შედის. ამ პერიოდში ის ქმნის განსაკუთრებული სიძლიერით და სიღრმით გამორჩეულ ლექსებს, როგორებიცაა „სანთლები“ (1893 წ.) „ქალაქი“ (1894 წ.) „კედლები“ (1896 წ.) „ბარბაროსების მოლოდინში“ (1897 წ.) და სხვ.

კავაფისის შემოქმედების მკვლევრები შინაარსის მიხედვით განასხვავებენ სამი კატეგორიის ლექსებს: ისტორიულს, ფილოსოფიურსა და ჰედონისტურს. „ბარბაროსების მოლოდინში“ ისტორიული პოეზიის ერთ-ერთი ნიმუშია, რომელიც გამოირჩევა ფორმითა და შინაარსით. ლექსის მთავარი თემა თანამედროვეობის ერთ-ერთ ძირითად პრობლემას წარმოადგენს, რომელიც ისტორიის პრიზმაშია განხილული. ამდენად, ნაწარმოები არ შემოიფარგლება კონკრეტული ეპოქის ჩარჩოებით, ის სცდება ყოველგვარ სივრცობრივ შეზღუდულობას, რის გამოც, ზედროული და ზოგადსაკაცობრიო ხდება. ვფიქრობთ, სწორედ ლექსის თემამ განაპირობა ინტერტექსტუალობა სემუელ ბეკეტის ნაწარმოებისთვის „გოდოს მოლოდინში“.

1969 წელს ფრანგი მწერალი სემუელ ბეკეტი ნობელის პრემიის ლაურეატი ხდება. მისი შემოქმედებითი ბიოგრაფია მდიდარია არაერთი საინტერესო ნაწარმოებით, თუმცა სამყარო ბეკეტს მაინც „გოდოს მოლოდინით“ იცნობს. სწორედ ამ პიესის დამსახურებით განიცადა რიგი ცვლილებები თანამედროვე დრამატურგიამ. ტრადიციულ თეატრში მეტყველებითა და სიტუაციებით გამოიხატებოდა რალაც ქეშმარიტება, ვლინდებოდა ხასიათები და ადამი-

ანთა ვნებები. ახალ თეატრში („ანტი-თეატრში“) მეტყველება და სიტუაცია საშუალება კი არ არის, არამედ თვითმიზანია. ახალი თეატრი არ ლაპარაკობს ადამიანის ყოფაზე, იგი „აჩვენებს“.

ამ ნაწარმოებით ბეკეტმა თავისი მრწამსი გამოხატა – ადამიანები დაძრწიან აბსურდულ სამყაროში, დაკარგული აქვთ ღირსების გრძნობა, გარშემო ვერაფერს ხედავენ და არც ეძიებენ რაიმეს. ებლაუჭებიან ბუნდოვან იმედს, რომლისაც სინამდვილეში არ სჯერათ.

მოხსენების მიზანია, ტიპოლოგიური მსგავსების საფუძველზე გავაანალიზოთ ერთი მხრივ, კონსტანტინოს კავაფისის „ბარბაროსების მოლოდინში“ და, მეორე მხრივ, ბეკეტის „გოდოს მოლოდინში“. განხილული იქნება რა საერთო იდეისა და შინაარსის მატარებელია ეს ორი ტექსტი.

სოლომონის ტაძარი და სასახლე ახალი არქეოლოგიური გათხრების შუქზე

ისრაელის ისტორიაში უდიდესი მოვლენა იყო იერუსალიმში სოლომონის მიერ ტაძრის აგება, რომელსაც ეწოდა **კიიონ** (სიონი). ტრადიციის თანახმად სიონი იდენტიფიცირებულია მთასთან, რომელიც მდებარეობს ოფელის გორაკის დასავლეთით და ჩნდება არაუადრეს რომის პერიოდისა.

მშენებლობა ხორციელდებოდა შვიდნახევარი წლის განმავლობაში **966-959** წწ. ჩვ. წ.-მდე. ტაძრის აღწერილობა დადასტურებულია ბიბლიაში (პირველი მეფეთა **6-8**).

დღეს მეცნიერები ეჭვის ქვეშ აყენებენ ბიბლიის მონათხრობის სინამდვილეს, რომელიც მეფე დავითისა და სოლომონის ხანას განეკუთვნება. თუმცა, ხირბეთ კეიაფაში ჩატარებული უახლესი არქეოლოგიური გათხრების შედეგად მოპოვებული არტეფაქტები ბიბლიური ნარატივის მტკიცებულებად მიჩნევის საფუძველს იძლევა.

იყო თუ არა იუდეის გაერთიანებული სამეფო ისეთი ძლიერი, როგორც აღწერილია ბიბლიაში, თუ ის მხოლოდ აგრარული დასახლებას წარმოადგენდა, როგორც ამტკიცებს პროფესორი **I. Finkelstein**-ი.

ხირბეთ კეიაფა არის ციხესიმაგრე, რომლის ნანგრევები აღმოჩენილ იქნა **2007** წელს არქეოლოგების პროფ. **Y.G. Garfinkel**-ის და პროფ. **Saar Ganor**-ის მიერ. მათი მოსაზრების თანახმად, აღნიშნული ციხესიმაგრე შესაძლებელია ყოფილიყო ბიბლიური ქალაქი შაარაიმი. ამ უკანასკნელის იდენტიფიკაცია განხორციელდა ბიბლიის პირველი მეფეთა წიგნის საფუძველზე. **2008-2009** წლებში აღმოჩენილმა უნიკალურმა დასავლური ჭიშკრის დეტალ-

მა, რომელსაც არ მოეპოვება ანალოგი ამ რეგიონში, გაამყარა პროფ. **Y.G. Garfinkel**-ის ვარაუდი.

მოპოვებული მასალის შესახებ მსჯელობისას აღსანიშნავია ისეთი არტეფაქტები, როგორებიცაა ტაძრის უნიკალური მოდელები – ქვის (32 სმ. სიმაღლის) და თიხის (20 სმ.), რომლებიც თარიღდება ძვ. წ. X საუკუნით და რომელიც აღმოჩენილ იქნა ხირბეთ კეიაფაში 2011 წელს.

ტაძრისა და სასახლის მოდელი კარგად იყო ცნობილი მესოპოტამიისა და ჩრდილოეთ ლევანტის სამეფო არქიტექტურაში ჯერ კიდევ ბრინჯაოსა და რკინის ხანაში. ხირბეთ კეიაფაში აღმოჩენილი სატაძრო მოდელი მიუთითებს იმაზე, რომ არქიტექტურული ელემენტები ამ მოდელებში გავრცელებული იყო იუდეაში ჩვ. წ.-მდე X საუკუნის დასაწყისში. ამიტომ არ არის გასაკვირი, რომ ეგვე ელემენტები მოხსიენებულია ბიბლიაში სოლომონის ტაძრისა და სასახლის აღწერილობაში (მესამე მეფეთა).

ახალი არქეოლოგიური გათხრების შედეგად მოპოვებული მასალის საფუძველზე შესაძლებელია ხირბეთ კეიაფას სატაძრო მოდელისა და სოლომონის ტაძრისა და სასახლის ბიბლიური აღწერილობის შედარებითი შესწავლა.

ხირბეთ კეიაფას ტაძრისა და სასახლის მოდელი დაახლოებით ხუთასი წლით წინ უსწრებს ათენის აკროპოლისს. როგორც ჩანს, ძველი აღმოსავლეთის კულტურამ არსებითი გავლენა მოახდინა კლასიკურ ბერძნულ არქიტექტურულ ძეგლებზე და არა პირიქით. ამის ერთ-ერთ არგუმენტად შეიძლება მივიჩნიოთ ხირბეთ კეიაფას ტრიგლიფები, რომლებიც თარიღდება ჩვ. წ.-მდე გვიანი XI და X საუკუნის დასაწყისით.

ბიბლიური დროის სემანტიკა ჯემალ აჯიაშვილის სონეტებში

ბიბლიური არსით დრო საკმაოდ კომპლექსური ცნებაა. შეიძლება ითქვას, რომ ის შეიცავს ლინეარულსა და ციკლურ მახასიათებლებს¹. ძველისა და ახალი აღთქმის წიგნთა მაგალითზე შეიძლება ვთქვათ, რომ დრო, არის მოვლენათა ჯაჭვი, რომელსაც აქვს თავისი დასაწყისი და დასასრული². ქრისტიანულ ტრადიციაში დრო ცალსახად ლინეარულია. ციკლური მახასიათებლების აღწერისას მაქსიმე აღმსარებელი და გრიგოლ ნოსელი იყენებენ ტერმინს *ასაკი (aeon)*. ამგვარად დრო გაიაზრება უწყვეტ ლინეარულ პროცესად წარსულიდან მომავლისკენ, მაგრამ გრიგოლ ნოსელის აზრით, ის, რაც განსაზღვრავს ჩვენს ასაკს, არის დროის შიდა ციკლები.³ ებრაულ ტრადიციაში ციკლურობა და ლინეარულობა არის დროის ორი ტიპი, შესაბამისად, ერთი მხრივ, დრო გაიაზრება უწყვეტად მიმდინარე პროცესად, ხოლო, მეორე მხრივ, ესაა წასვლისა და დაბრუნების (რაცო-შოვი) მუდმივი ცვალებადობა. ლინეარული დრო ებრაულ ტრადიციაში დაკავშირებულია აბსოლუტურობასთან.⁴ ამგვარი ხედვა მოგვაგონებს მარადიული დაბრუნების მითოსს.

ჯემალ აჯიაშვილის სონეტებში ჩანს ბიბლიური დროისადმი საინტერესო მიმართება, რომელიც უფრო მეტად ციკლურობას, მარადიულ განმეორებითობას ემყარება. ტექსტებში საკრალური

¹ <https://www.christiancourier.com/articles/437-biblical-concept-of-time-the>

² ზურაბ კიკნაძე, ადამიანი ბიბლიურ დროში <https://burusi.wordpress.com/2009/10/08/zurab-kiknadz/>

³ Hans Urs von Balthasar, *Cosmic Liturgy: The Universe According to Maximus the Confessor*, San Francisco: 2003 გვ. 140, 141

⁴ <http://ldolphin.org/jtime.html>

მოვლენები აღწერილია ანმყოში და განმცდელი არის თავად ნარატორი. ამგვარი დამოკიდებულება ჩანს ლექსში „ადამი“:

„ეს მე ვარ ადამ ვნებით მთვრალი, მთვრალი ევათი,
ხელში მიჭირავს მნიფე ვაშლი, ვაშლი სარტოვე...“¹

მსგავსი ნიშნულები ჩანს ლექსში „მელქისედეკის სიზმარი“.² აქაც ჩანს დრო, როგორც მუდმივად განმეორებული ისტორია:

„და ჰა, კვლავ ვხედავ ძველთუძველეს თავდავინეებებს:
სისხლის მორევში ილანძება თეთრი მთიები,
მზეს ეხლებიან სისხლიანი დინასტიები
და როკაპები სასიკვდილო როკვას იწყებენ.“

ერთ-ერთ სონეტში საუბარია სახარებისეული იგავის მარადიულობაზე, მუდმივ აქტუალობაზე:

„ისევ გაურბის მოხუც მამას შვილი უძღები,
ნავა და თავის უძღებობას თანვე წაიღებს!“³

ჯემალ აჯიაშვილი ბიბლიურ ნარატივს ასახავს, როგორც მარადიულ ანმყოს, ყოველთვის აქტუალურს. სწორედ ამ სემანტიკით შეიძლება აღვიქვათ მის შემოქმედებაში ბიბლიური დრო.

ციკლურობის ერთ-ერთი მახასიათებელია მოვლენათა მიმდევრობის არსის წინასწარ ცოდნა. ამ გზით წარსული გარკვეულ ფაზაში მომავლის პერსპექტივას იძენს. ქრისტიანობაში დრო იყოფა გარკვეულ პერიოდებად. ჟან დანიელუს აზრით, ქრისტეს აღდგომისა და ადამიანის ღვთაებრივთან ზიარების შემდეგ ახალი ფაზა დადგა, უკან დაბრუნება შეუძლებელია.⁴ მსგავსი შინაარსი იკვეთება ჯემალ აჯიაშვილის სონეტში „აბრაამის მსხვერპლშე-

¹ ჯემალ აჯიაშვილი, სონეტები, თბილისი პეტიტი: 2014 გვ. 20

² ჯემალ აჯიაშვილი, სონეტები, თბილისი პეტიტი: 2014 გვ. 23

³ ჯემალ აჯიაშვილი, სონეტები, თბილისი პეტიტი: 2014 გვ. 123

⁴ JEAN DANIÉLOU, S.J., *The Lord of History: Reflections on the Inner Meaning of History*, Longmans, Green and Co Ltd: 1958გვ. 6

ნირვა“. აქ გადმოცემულია ძველი აღთქმის შინაარსი, მაგრამ ისე, რომ მოვლენათა სიმბოლური მნიშვნელობები უკვე გახსნილი, ნაცნობია და მკითხველი, თითქოს, ერთგვარი რეტროსპექტივით უყურებს მოთხრობილს:

„უნყოდა ღმერთმა, – იალებდა მაცვლის ტევრი და
ჯვარცმას და ტკივილს მომავლიდან ვერ განდევნიდა,
ვერც იმედს, ბანგო სოფლისაო, სოფლის თრიაქო!“¹

შეიძლება ითქვას, რომ ჯემალ აჯიაშვილის სონეტებში ბიბლიური დრო შეიცავს ციკლურობის დამახასიათებელ ნიშნებს, როდესაც საქმე ეხება მოვლენათა მისტიკური შინაარსის მარადიულობას. მეორე მხრივ, ჩანს დროის ქრისტიანული გაგება, როდესაც ერთი მოვლენის შემდეგ შეუძლებელია ძველთან ყველაფერი ისე იყოს, როგორც მანამდე. ამ ნიშნებით ჯემალ აჯიაშვილის შემოქმედება ახლოს დგას როგორც ებრაულ, ასევე, ქრისტიანულ ტრადიციებთან.

¹ ჯემალ აჯიაშვილი, სონეტები, თბილისი პეტიტი: 2014 გვ. 22

ნინო მალუტაშვილი

დროითი კატეგორია ჯემალ აჯიაშვილის პოეზიაში

დროით კატეგორიას უფრო და უფრო მეტი მნიშვნელობა ენიჭება თანამედროვე ეპოქაში, იმდენად, რამდენადაც თანამედროვეობაში სამყარო განსხვავებულად აღიქმება და დროის ცნებაც მოდერნიზებული ეპოქის ხელოვნებაში უფრო მეტად იკვეთება.

ლიტერატურა შეიძლება მოიცავდეს გრამატიკულ დროს, რეალურ დროს, მხატვრულ დროს, ისტორიულ დროს (ეპოქალურ კონტექსტს) და ავტორისეულ დროს. მხატვრული დრო ნაწარმოებში (ლიტ. ნაწარმოებში) ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ფაქტორი და მხატვრულობის განმსაზღვრელი კრიტერიუმია. მხატვრული დრო არ გულისხმობს დროის ცნების რაობისადმი შეხედულებას, არამედ თავისთავად არსებული დროა, რომელიც ჩნდება და გამოიხატება მხატვრულ ნაწარმოებში.

დროის ცნების დეტერმინაცია ანტიკური ეპოქიდან დღემდე ერთ-ერთ ურთულეს პროცესად მიიჩნევა. ამ სირთულის მიზეზი თავად დროის რთული და წინააღმდეგობრივი ხასიათია. დროის და მასთან ერთად სივრცის შესახებ მუდმივად არსებობს აზრთა სხვადასხვაობა.

ამდენად, გვევლინება არაერთი შეხედულება დროის გააზრებასთან დაკავშირებით. ერთი მხრივ, დროის სუბიექტურ-ინდივიდუალური გააზრების „მომხრენი“ და, მეორე მხრივ, პრაგმატული-ობიექტური პოზიციის მქონენი.

საგულისხმოა, რომ ჯემალ აჯიაშვილის პოეზიაში უმეტესად შეინიშნება დროის რელიგიური გააზრება; ერთი მხრივ, როგორც

მუდმივი დაუსაბამო ერთეული და, მეორე მხრივ, როგორც ცოცხალი და მარად მოძრავი ნაკადი, რომლის შეჩერებაც შეუძლებელია.

ნაშრომში წარმოვადგენთ ზემოხსენებული შეხედულების მაგალითებს, მის ანალიზსა და მეცნიერულ პოზიციებს, რომლებშიც დროის ცნებისადმი ამგვარი დამოკიდებულება იკვეთება.

სალომე სუხიაშვილი

სხვა სამყარო ქართულ მითოლოგიაში

ნაშრომში „სხვა სამყარო ქართულ მითოლოგიაში“ შევეცდებით გამოვარკვიოთ, სად გადის ზღვარი ჩვეულებრივ ყოფასა და არარეალურ სამყაროს შორის. სად მთავრდება ამქვეყნიური და იწყება „სხვა სამყარო“, რომელიც დედამიწაზე წარმოდგენილია სამოთხისებური და ჯოჯოხეთური ყოფით.

სამოთხის თემა აქტუალურია ქართულ ფოლკლორში. ადამიანს, ერთი მხრივ, ცხოვრება უწევს დაცემულ წუთისოფელში, ხოლო, მეორე მხრივ, არსებობს „სხვა“ სამყარო, რომელიც არცთუ იშვიათად გვხვდება არა მხოლოდ ფოლკლორულ ნაწარმოებებში, არამედ ბიბლიურ-სასულიერო ლიტერატურაშიც.

ქართულ მითოლოგიურ გადმოცემებში სამოთხე და ედემი, ისევე როგორც ბიბლიაში, მთაზეა წარმოდგენილი: „აიყვანა ადამი უფალმა ღმერთმა და დაასახლა ედემის ბაღში“ (დაბად. 2: 15). მოცემულ ეპიზოდში „აიყვანა“ მთაზე ასვლას აღნიშნავს. ფშავ-ხევსურულ გადმოცემებში მაღალი მთის მწვერვალები სამოთხის ნიშნებით არის აღბეჭდილი. ფშავში, ქიჩოს მთაწმინდაზე, განდევნილი ბერი ერთი ნაჭერი პურის ამარა იზამთრებდა: რამდენსაც მოტეხდა ამ პურს ნაჭერს, იმდენი ემატებოდა. ხოლო ცროლის მთაზე, ხევსურეთში, სადაც „სანების“ სალოცავი არის აღმართული, „სიცივე არ სცოდნის, ისეთ თბილ ყოფილაისაც ხალხი, რომელ ღამესაც ოფლ გადაზდიოდისაც“.

ქართულ მითოლოგიურ გადმოცემებში ბერები და წმინდანები გარდაქმნიან ჩვეულებრივ პროფანულ სივრცეს „კვირვად“, საკრალურ სივრცედ. სწორედ წმინდა ბერების ძალით არსებობდა ქიჩოს მთაწმინდაზე, ხევის ბეთლემსა და ხევსურეთის ცროლის სა-

ნებაზე მარადიული გაზაფხული, უკვდავების წყარო, ზედაშის ქვევრები და დაუღვეველი პური.

სამოთხის ბინარულ ოპოზიციას სასულიერო ლიტერატურასა და მითოლოგიაში ჯოჯოხეთი წარმოადგენს. წმინდა ბერების მიერ გარდაქმნილ სამოთხისებურ სივრცეს ხალხურ ტექსტებში ტაბაკონის მთა და აჩხოტის ველი უპირისპირდება. ეს არის „სხვა“ სივრცე, რომელიც ჯოჯოხეთის ნიშნებს ატარებს და ის კუდიანთა და ეშმაკთა უფროსის შეკრების ადგილს, სამოთხის ანტითეზას წარმოადგენს.

რუსული პოეზიის ჯემალ აჯიაშვილისეული თარგმანები

არაფერი წარმოაჩინეს ერის მსოფლმხედველობასა თუ მსოფლალქმას ისე, როგორც, ზოგადად, მისი კულტურა და კერძოდ კი – ლიტერატურა. ამიტომ როცა კულტურათაშორის კავშირზე, ეროვნულ თუ ზოგადსაკაცობრიო ფასეულობებზე ვსაუბრობთ, ცხადია, თარგმანის როლი თუ ფუქნცია აქ განსაკუთრებით დიდი და მნიშვნელოვანია.

თარგმანის ტიპებზე, მის თავისებურებებსა თუ მახასიათებლებზე, ზუსტი, ადეკვატური თარგმანის მნიშვნელობაზე სამეცნიერო ლიტერატურაში არაერთგზის შენიშნულა და ამ თემაზე მსჯელობა დღესაც გრძელდება. ცალკეა გამოყოფილი პოეზიის თარგმნის სპეციფიკა თუ მოთხოვნები მთარგმნელსადმი, მაგრამ, როგორც მოსალოდნელია, ეს ე.წ. „ნორმები“ თუ „სტანდარტები“ ხშირად ირღვევა და ხანდახან იმ ზომამდეც მიდის, რომ სახეზე გვაქვს არა რომელიმე ლიტერატურული ტექსტის თარგმანი, არამედ – ახალი, დამოუკიდებელი თხზულება (იქნება ეს ლექსი, მოთხრობა თუ სხვ.).

თუ ჯემალ აჯიაშვილის თარგმანების დახასიათება გვსურს, მას უპირობოდ და დანამდვილებით უნდა ვუნოლოთ თავისუფალი თარგმანი, უფრო ზუსტად კი, ზომიერად თავისუფალი. ჯემალ აჯიაშვილი თავის თარგმანებში ქმნის პოეზიას, რომელიც ერთდროულადაა ნასაზრდოები მთარგნელი და სათარგმნი ენის შესაძლებლობებით. თუნდაც, ის ფაქტი, რომ, მაგალითად, იოსებ მანდელშტამის ლექსი „Черпача“ მთარგმნელს უსათაუროდ აქვს გადმოტანილი, უკვე ცხადყოფს, სადამდე მიდის მთარგმნელისათვის თავისუფლების განცდა თარგმანის პროცესში.

მოსვენებაში ვრცლად ვისაუბრებთ რუსული პოეზიის (ბორის პასტერნაკი, იოსიპ მანდელშტამი, ვლადიმერ მაიაკოვსკი) ჯემალ აჯიაშვილისეულ თარგმანებზე. განვიხილავთ იმ ზღვრებს თუ ჩარჩოებს, რომლებშიც მისი თარგმანები ექცევა. განვსაზღვრავთ, რასთან გვაქვს საქმე: თარგმანთან თუ ახალი პოეზიასთან.

ნატა ტყეშელაშვილი

იერუსალიმის დაცემა (I ს. ა.წ.)

*„ასე განადგურდა იერუსალიმი
სატურნის დღეს, დღეს,
რომელსაც ებრაელები
ახლაც კი რიდით იხსენებენ.“*

დიონ კასიუსი „რომის ისტორია“

იერუსალიმის ისტორია, ეს მსოფლიოს ისტორიაა, ოდითგანვე მის დაუფლებას იმპერიები ერთი მეორეს მიყოლებით ცდილობდნენ, მიუხედავად იმისა, რომ მას არავითარი სტრატეგიული ღირებულება არ გააჩნდა. „იერუსალიმი იმდენად ნატიფი და სათნოა, რომ ებრაულ რელიგიურ ლიტერატურაში ხშირად ქალად აღწერენ“.

ჩვენი წელთაღრიცხვით პირველი საუკუნე გადამწყვეტი აღმოჩნდა ებრაელი ერის და თვით იერუსალიმის ცხოვრებისათვის. ახ.წ. 70 წელს, ავის თვის მერვე დღეს, ბაბილონის მიერ იერუსალიმის განადგურებიდან 500 წლის შემდეგ, ტიტუსმა, რომელიც იერუსალიმის ალყას ოთხი თვის მანძილზე სარდლობდა, მთელ ლაშქარს საღამოს ტაძარზე შეტევისთვის მომზადება უბრძანა, სწორედ ამ დღეს დაეცა იერუსალიმი და დაინგრა ტაძარი. დანგრეული ტაძარი კი აღარ აღუდგენიათ – უფრო მეტიც, რამდენიმეწლიანი მცირე მონაკვეთის გარდა, იერუსალიმი, ებრაელების მმართველობის ქვეშ, მომდევნო თითქმის ორი ათასწლეულის მანძილზე, აღარ ყოფილა.

გუდამაყრული მითოლოგიური გადმოცემები

გუდამაყრის ხეობა აღმოსავლეთ საქართველოს ისტორიულ-გეოგრაფიული მხარეა, რომელსაც დღეს განიხილავენ მთიულეთის ერთ-ერთ თემად. მას, მართლაც, ბევრი რამ აქვს საერთო მთიულეთთან, მაგრამ გააჩნია ის განმასხვავებელი ნიშნებიც, რომლებიც გამოარჩევენ ყველა სხვა მხარისაგან. ნაშრომის მიზანია, გაგვაცნოს ამ ხეობაში არსებული მითოლოგიური გადმოცემები, ისინი ყურადღებას იპყრობენ ვარიანტულობითა და მრავალფეროვნებით. ნაშრომში გამოყენებულია როგორც ჩემ მიერ შეგროვებული მასალა, აგრეთვე ფოლკლორულ არქივში დაცული ჩანაწერებიც. მსჯელობისას ვეყრდნობი ელენე ვირსალაძის, ზურაბ კიკნაძის, ქსენია სიხარულიძის და სხვა გამოჩენილ ფოლკლორისტა ნაშრომებს. მოხსენებაში განხილულია გადმოცემები გუდამაყრის ხეობის სალოცავების დაარსებაზე, მათი მსგავსება-განსხვავებები, ტიპოლოგია, კლასიფიკაცია და ა.შ.

გუდამაყრის მთავარი სალოცავებია – პირიმზე და ფუძის ანგელოზი. პირიმზის დაარსებასთან დაკავშირებული გადმოცემები უკვე მრავალჯერაა ჩანერილი. მას ახალციხიდან მოსულს უწოდებენ, თუმცა სიახლეა მჭედელის მიერ მისი დატყვევების ამბავი. ანდრეზებში იგი მტრედის სახით ეჩვენება საყმოს, ეს მოვლენა შეგვიძლია დავაკავშიროთ ბიბლიურ სულიწმიდის გამოცხადებასთან.

ჩემ მიერ ჩანერილ ერთ-ერთ გადმოცემაში პირიმზის სალოცავი ერთ ადგილას არ ჩერდება, სწორედ ამიტომ გადანყვეტს მჭედელი მისთვის გალიის გამოჭედვას და ამ საქციელის გამო მკაცრადაც ისჯება. მთქმელის ნაამბობის მიხედვით პირიმზის სალოცავს მჭედლები ხმამაღალი კაკუნით აწუხებენ და სწორედ ამიტომ

არ შეუძლია მათ ჩამომავლობას დასტურობაში წილის ყრა, ან ხატის კარზე სხვა საქმიანობის შესრულება. მსგავსი დაპირისპირება მჭედლებსა და სალოცავს შორის სიახლეა.

სხვა მითოლოგიური გადმოცემები ავლენენ ტიპოლოგიურ მსგავსებებს საქართველოს აღმოსავლეთ მთიანეთში გავრცელებულ ანდრეზებთან.

საქართველოს გეოეკონომიკური პოტენციალის გავლენა ქვეყნის გეოპოლიტიკურ გამონწვევებზე

გეოპოლიტიკა და გეოეკონომიკა მჭიდროდა დაკავშირებული ერთმანეთთან. თანამედროვე საერთაშორისო ვითარებაში გეოპოლიტიკის საფუძველს წარმოადგენს გეოეკონომიკა. სწორედ გეოეკონომიკა განსაზღვრავს საერთაშორისო დამოკიდებულებას, პოლიტიკურ გადაწყვეტილებებს, ომსა და მშვიდობას.

კვლევის პრობლემას წარმოადგენს ქართულენოვანი დოკუმენტის არარსებობა, რომელშიც დეტალურად და კომპლექსურად იქნებოდა განხილული საქართველოს გეოეკონომიკური პოტენციალის გავლენა იმ გეოპოლიტიკურ გამონწვევებზე, რომელთა წინაშეც დგას დღეს ჩვენი ქვეყანა.

ეს საკითხი დღეს აქტუალურია როგორც საკუთრივ საქართველოში, ისე იმ სახელმწიფოების პოლიტიკურ სტრუქტურებშიც, რომლებიც დაინტერესებულნი არიან საქართველოს გეოპოლიტიკური თუ გეოეკონომიკური პოტენციალით.

საკვლევი შეკითხვაა, რა გავლენას ახდენს საქართველოს გეოეკონომიკური პოტენციალი ქვეყნის წინაშე არსებულ გეოპოლიტიკურ გამონწვევებზე? ჩვენს შემთხვევაში, დამოუკიდებელი და დამოკიდებული ცვლადები შემდეგნაირად გადანაწილდა: **დამოუკიდებელი ცვლადი** – საქართველოს გეოეკონომიკური პოტენციალი;

დამოკიდებული ცვლადი – გეოპოლიტიკური გამონწვევები, რომლებიც არსებობს დღეს საქართველოსთან მიმართებით.

ჰიპოთეზა – საქართველოს გეოეკონომიკური პოტენციალი მნიშვნელოვან, ხშირ შემთხვევაში, გადამწყვეტ გავლენას ახდენს ქვეყნის წინაშე მდგარ გეოპოლიტიკურ გამოწვევებზე.

გამოვიყენებ **კვლევის თვისებრივ მეთოდს**. დავაკვირდები და შევისწავლი საქართველოს გეოეკონომიკური პოტენციალს, მის კავშირს გეოპოლიტიკასთან და გავაკეთებ შესაბამის დასკვნებს. მოხსენებაში წარმოვადგენ რუსეთისა და აშშ-ს გეოპოლიტიკური ინტერესებს საქართველოსთან მიმართებით, რასაც მნიშვნელოვნად განაპირობებს საქართველოს გეოეკონომიკური პოტენციალი.

მარიამ ჭიკაძე

ილია ჭავჭავაძის ფენომენი კონსტანტინე გამსახურდიას თვალთახედვით

XX საუკუნის ქართული ლიტერატურულ-საზოგადოებრივი აზროვნების ერთ-ერთი უდიდესი წარმომადგენლის – კონსტანტინე გამსახურდიას – კრიტიკულ ნააზრევში დიდი ყურადღება ეთმობა XIX საუკუნის კლასიკოსთა შემოქმედებისა და პიროვნული ბუნების შეფასებას. შესწავლილი მასალის საფუძველზე განსაკუთრებით საგულისხმოა დაკვირვებები ილია ჭავჭავაძის პიროვნებაზე, ენობრივ პოზიციაზე, შემოქმედებასა და მოღვაწეობაზე.

კონსტანტინე გამსახურდიას კრიტიკულ-ესეისტური ნააზრევის თანახმად, თანაბრად სათაყვანებელია ილია ჭავჭავაძის როგორც პიროვნება, ისე – შემოქმედება. ილია ჭავჭავაძე კრიტიკოსს მარად აქტუალურ მწერლად მიაჩნია და ფიქრობს, რომ „ილია მართლაც მშფოთვარე თერგი იყო და იგი მუდამ მისცემს საბაბს ქართული მწერლობის აზრთა იდეური შეხლისას და ბრძოლისას“ (კ. გამსახურდია 1963: 484). კონსტანტინე გამსახურდია დაუფარავად გვიმხელს, რომ თავადაც შთაგონებულია ილია ჭავჭავაძის შემოქმედებით: „მე პირადად რუსთაველის შემდეგ არავისგან იმდენი შთაგონება არ მიმიღია იმ მხრით, როგორც ილიასაგან“ (კ. გამსახურდია 1963:484).

კონსტანტინე გამსახურდია ბევრ სადავო, მაგრამ საგულისხმო მოსაზრებას ავითარებს. კრიტიკოსის შენიშვნით, „ილია ჭავჭავაძეს არ უზრუნია რაფინირებული ბოლო რითმისთვის“ (კ. გამსახურდია 1963: 656), თუმცა ეს ნაკლად ვერ ჩაითვლება. მისივე აღნიშვნით, ილია ჭავჭავაძის შემოქმედების დიდ ნაწილს არსთა გამრიგესთან შეთანხმების ტვიფრი ამჩნევია.

გიორგი ხულორდავა

**პოეტური თარგმანის
თავისებურებანი
(სპარსული ლირიკის
ქართულ თარგმანთა მიხედვით)**

მხატვრული თარგმანის თეორიაში საგანგებო ყურადღება ეთმობა პოეტური თარგმანის არსს. ვინაიდან ლექსის მხატვრული ქსოვილი ღრმად არის ენის შრეებთან დაკავშირებული, არაერთი თეორეტიკოსი პოეზიის თარგმნას საერთოდ შეუძლებლად თვლის. ამავე დროს, მსოფლიოს ენებზე ინტენსიურად ითარგმნება პოეტური ნიმუშები. ქართულ ენაზე კი არაერთი მაღალმხატვრული თარგმანი მოგვეპოვება.

სპარსული ლირიკის თარგმნას, რომელსაც გასული საუკუნის 30-იან წლებში ამბაკო ჭელიძემ ჩაუყარა საფუძველი, დღემდე წარმატებით აგრძელებენ ქართველი ირანისტები.

მოხსენებაში სპარსული პოეზიის ცალკეულ ნიმუშთა მოშველიებით განხილული და გაანალიზებული იქნება პოეტური თარგმანის თავისებურებანი. აგრეთვე, ის პრინციპულად განსხვავებული მოთხოვნები, რასაც რითმიანი ლექსი უყენებს მთარგმნელს.

ჯემალ აჯიაშვილის ორსახოვანი ერთიანობა და „გამოღვიძებული ქნარის“ მისტერია

1944 წლის 23 მარტს სენაკში, მეგრულ გარემოში, ტრადიციულ ებრაულ ოჯახში დაბადებული პოეტი, მთარგმნელი, ქართულ-ებრაულ ურთიერთობათა მკვლევარი, პოლიტიკოსი და ერთ-ერთი საუკეთესო დიპლომატი – ჯემალ აჯიაშვილი საზოგადოებრივ და კულტურულ ასპარეზზე მრავალმხრივ მუშაობას ეწეოდა. იგი იყო სულხან-საბა ორბელიანის სახელობის პედაგოგიური უნივერსიტეტის აღმოსავლური ენების კათედრის გამგე, ებრაული სახალხო უნივერსიტეტის რექტორი, თსუ-ს იუდაიკის კაბინეტის უფროსი მეცნიერი თანამშრომელი, საქართველოს ებრაელთა მსოფლიო კონგრესის გენერალური დირექტორი, რამდენიმე საერთაშორისო ორგანიზაციის წევრი... . შეიძლება ითქვას, რომ მისი ეს განსაკუთრებული ღვაწლი და რუდუნება დაფასდა. იგი გახდა არაერთი პრემიის ლაურეატი, ისრაელის პრეზიდენტის ჯილდოს მფლობელი, ღირსების ორდენის კავალერი, თბილისის საპატიო მოქალაქე. ჯემალ აჯიაშვილის თანამედროვენი სამართლიანად შენიშნავენ: იგი იყო ყველაზე კარგი მაგალითი იმისა, თუ როგორ შეიძლება ადამიანმა გააერთიანოს ორი სამშობლო და ორივეს უდიდესი სიყვარულითა და პატივისცემით ემსახუროს. ჯემალ აჯიაშვილმა მთელი თავისი ცხოვრება ორი უძველესი ერის დაახლოებას მიუძღვნა და ამ ორსახოვან ერთიანობაზე ყველაზე უკეთ სწორედ მისი შემოქმედების გაცნობა გვარწმუნებს.

უნდა აღინიშნოს, რომ ფართო საზოგადოებისთვის ჯემალ აჯიაშვილი უმთავრესად ებრაული პოეზიის ბრწყინვალე თარგმანებითაა ცნობილი, მაგრამ არანაკლებ მნიშვნელოვანია მისი ორიგინალური შემოქმედებაც. მათ შორის უდავოდ გამორჩეული ადგილი უჭირავს ავტორის ისტორიულ ესეს „გამოღვიძე, ქნარო!“,

რომელშიც მწერალი ღრმად ჩასწვდა ქართულ-ებრაული ურთიერთობის უნიკალურ ფენომენს, ამ ორი ერის კულტურას, ისტორიას, სულიერებას და მოგვცა ფართო პანორამა ქართველთა და ებრაელთა ერთობლივად განვლილი მრავალსაუკუნოვანი გზის სულისშემძვრელი ეპიზოდებისა. მართალია, ნაწარმოები ფორმოზრივად პროზაულ ჟანრს განეკუთვნება, მაგრამ მასში თხრობა იმდენად დინამიკურად მიმდინარეობს, რომ იგი შეგვიძლია მივიჩნიოთ ერთბაშად დოკუმენტური პროზისა და უმაღლესი პოეზიის ნიმუშადაც. როგორც წინასიტყვაობაში ვკითხულობთ, ესეში ოსტატურად ენაცვლება ერთმანეთს ბიბლიურ-რელიგიური და პოეტური, ისტორიული და სადღეისო, მეცნიერულ-დოკუმენტური და წარმოსახვითი, რაც მკითხველს საშუალებას აძლევს ცხადად გაიაზროს, გონებაში წარმოიდგინოს საქართველოს ებრაელთა მრავალსაუკუნოვანი ცხოვრების გზა.

ამდენად, „გამოიღვიძე, ქნარო!“ – ერთღმერთიანობის იდეით გამსჭვალული მუდმივად დევნილი ებრაელი ხალხის ეს ლაღადისი, კადრებად, ქრონიკებად გვიყვება მთელ ისტორიას იმის შესახებ, თუ როგორ მოაბიჯებს საუკუნეების განმავლობაში გვერდიგვერდ ორი მონათესავე სული – ერთი იუდეველი და მეორე – ქრისტიანი. „მოდინ ასე, როგორც „ერთსულ“ და „ერთხორც“ – საერთო ბედით, საერთო ცრემლით, საერთო ფიქრითა და საერთო ტკივილით...“

დამკაბადონებელი
გარეკანის დიზაინი

ხათუთა ბადრიძე
ნინო ებრალიძე

0179 თბილისი, ი. ჭავჭავაძის გამზირი 14
14, Ilia Tchavtchavadze Ave., Tbilisi 0179
Tel: +995 (32) 2250484, 6284; 6278
www.press.tsu.edu.ge